სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/16

ქ. თბილისი 24 01 2020 წ.

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების, მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 8 იანვრის N 01-05-04/07 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019 - 2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020 წლის 10 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10^{00}-და 16^{00} საათამდე ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, სტუ–ს ადმინისტრაციული კორპუსი, ოთახი N 350);

2. სტუდენტთა შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებს მოტივირებული დასკვნების მომზადება (დანართი 2) და სწავლების დეპარტამენტში წარდგენა არაუგვიანეს 2020 წლის 20 თებერვლისა;

5. 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2020 წლის 24 თებერვლისა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

დანართი 1

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
3. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
4. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
5. ცნობა ფაკულტეტიდან სტუდენტის სატატუსის შესახებ;
6. სტუ–ს ბუღალტერიიდან (ოთახი N 210) ცნობა სწავლის საფასურის გადახდის შესახებ.

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვიცე–რექტორი _____ ლ. კლიმიაშვილი

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა შიდა მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
განათლების საფეხური:	❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა
ინფორმაცია გამომშვები ფაკულტეტის შესახებ:	
გამომშვები ფაკულტეტის დასახელება:	
გამომშვებ ფაკულტეტზე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
სტუდენტის უსდ–ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	
ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ	სასწავლო კურსის მოცულობა,	შეფასება	მიმღებ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით	სასწავლო კურსის მოცულობა,

გამომშვებ ფაკულტეტზე შესწავლილი საგნების ჩამონათვალი სემესტრების მიხედვით	ECTS კრედიტი	აკადემიური საათი		საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	ECTS კრედიტი	აკადემიური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:

სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის მიმღები ფაკულტეტის მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის მიმღები ფაკულტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:

❑ რეკომენდებულია გადმოყვანა ❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდებული

შენიშვნა

_____

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:	

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი

სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:

სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

თ.წერეთელი	ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

	ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: